საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკულია მერაბ რევაზის ძე

კაკულია მერაბ რევაზის ძე (დ. 29. VI. 1961, ქ. მახარაძე, ახლანდ. ქ. ოზურგეთი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (2002). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1983). 1987–92 იყო თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის თანამშრომელი. 1993–2005 – საქართვ. ეროვნ. ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, იმავდროულად (2000–05) – შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) მმართველი საქართველოდან. 2005–10 მუშაობდა ეკონ. პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართ.-ევრ. ცენტრის (GEPLAC) მთ. ეკონ. ექსპერტად და ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციების" მთ. რედაქტორად. 2010-იდან არის საქართვ. სტრატეგიისა და საერთაშ. ურთიერთობების კვლევის ფონდის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი და საქართვ. საზ. საქმეთა ინ-ტის (GIPA) სამართლისა და პოლიტიკის სკოლის სრული პროფესორი.

კ-ს კვლევის ძირითადი სფეროებია ეკონ. ზრდის, მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკის, საბანკო სექტორის განვითარების, საერთაშ. ფინანსებისა და ვაჭრობის საკითხები.

თხზ.: დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები, თბ., 2000 (თანაავტ.); სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ., 2001; საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2012 (თანაავტ.); On the political economy of economic slowdown in Georgia, Tb., 2013.